#1 ადგილი ოფიციალური

დოკუმენტების გაცემის მიმართულებით

#2 ადგილი სახელმწიფო

სერვისების მიწოდების ეფექტურობის მიმართულებით

მომხმარებლის 92%-ის

კმაყოფილება ოფიციალური დოკუმენტების გაცემის პროცედურების მიმართულებით

წყარო: "განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების კვლევა", EBRD, 2011

2 405 405

info@psh.gov.ge

www.psh.gov.ge

www.facebook.com/publicservicehall

ყველაფერი ერთ სივრცეში

ორმაგი მოქალაქეობა

იუსტიციის სახლი

საქართველოს მოქალაქეობა

მოქალაქეობა პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის არსებული იურიდიული კავშირია. ეს კავშირი მოქალაქეს ანიჭებს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ უფლებებს (პიროვნული თავისუფლება, განათლების, არჩევნებში მონაწილეობის, მინიმალური შემოსავლის მიღების, ღირსეული ცხოვრების უფლება). ამასთან ერთად გარკვეულ ვალდებულებებსაც აკისრებს (ქვეყნის კანონმდებლობის დაცვა).

ვის შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა და რა შემთხვევაში?

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

როგორ მივიღო საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დაკარგვის გარეშე?

ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად, განცხადებით მიმართეთ საქართველოს პრეზიდენტს პირადად ან იუსტიციის სახლის/საკონსულო დაწესებულების მეშვეობით.

ასევე შეგიძლიათ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეავსოთ ონლაინ აპლიკაცია ვებ-გვერდზე www.psh.gov.ge, თან დაურთოთ დასკანერებული დოკუმენტები და დაარეგისტრიროთ განაცხადი. აუცილებელია, თქვენსა და იუსტიციის სახლის თანამშრომელს შორის შედგეს ვიზუალური (ონლაინ) კონტაქტი.

რა დოკუმენტებია საჭირო საქართველოს მოქალაქეობაზე განაცხადის გაკეთებისას?

მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განსახილველად წარმოადგინეთ:

1. განცხადება საქართველოს პრეზიდენტის სახელზე;
2. დაბადების მოწმობის ასლი (თუ დაბადებული ხართ საზღვარგარეთ და გაქვთ ასეთი დოკუმენტი);
3. პასპორტის ან მოქალაქეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
4. იუსტიციის სახლს შეუძლია უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ქართულენოვანი თარგმანის გარეშე მიღება თუ იგი შეიცავს უხცოელის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრასლიტერაციით;
5. საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში რეგისტრებული იურიდიული პირის ხელმძღვანელის ორი რეკომენდაცია;

სურათის გადაღებასა და კანონით დადგენილისაფასურის გადახდას შესძლებთ იუსტიციის სახლში.

განცხადების წარმოდგენა შეგიძლიათ როგორ ქართულ და ინგლისურ, ისე რუსულ ენაზე.სხვა საჭირო დოკუმენტები კი წარმოადგინეთ ქართულად ან ნოტარიალურად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის სახით.

დოკუმენტები წარმოადგინეთ პირადად, უფლებამოსილი პირის ან ფოსტის მეშვეობით.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება შესაძლებელია ელექტრონულადაც. ამისათვის აუცილებელია, მესამე პირის პირადი ინფორმაცია მოიპოვებოდეს იუსტიციის სახლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

მომსახურების ვადა და საფასური:

მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური
80 სამუშაო დღეში	250 ლარი
60 სამუშაო დღეში	350 ლარი
30 სამუშაო დღეში	500 ლარი

როგორია არასრულწლოვანი პირისთვის ორმაგ მოქალაქეობაზე განაცხადის წარდგენის პროცედურა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. არასრულწლოვანთა და ქმედუნარიან პირთა მოქალაქეობის საკითხი განიხილება მათი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე;
2. 14-დან 18 წლამდე არასრწლოვანი პირისთვის, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს 14-დან 18 წლამდე პირის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა ან წერილობითი თანხმობა გამოხატული განცხადების მიმღები ორგანოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით;
3. 18 წლამდე პირის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე ერთ-ერთი მშობლის მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს მეორე მშობლის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა ანწერილობითი თანხმობა გამოხატული განცხადების მიმღები ორგანოს უფლებამოსილი პირის თანდასერებით.

განსაკუთრებული შემთხვევა

განსაკუთრებულ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს აღნიშნული მოთხოვნების დაუცველად.